განცხადება

20 სექტემბერი, 2022 წელი

გვსურს გამოვეხმაუროთ საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალა“-ს მიერ გავრცელებულ განცხადებას ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წლების მანძილზე საქართველოსთვის გამოყოფილი დაფინანსების შესახებ.

ქართული ოცნებიდან გამოყოფილი „ოთხეულის“ განცხადებებით გავრცელებული დეზინფორმაციული ნარატივები სულ უფრო მძიმდება და შემაშფოთებელ ხასიათს იძენს. ამერიკის შეერთებული შტატები, საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორია, მას ბოლო 30 წლის განმავლობაში საქართველოს განვითარებაში უზარმაზარი წვლილი მიუძღვის: უსაფრთხოების, ეკონომიკის, განათლების, დემოკრატიზაციის, ადამიანის უფლებებისა და სხვა სტრატეგიული მიმართულებებით. აშშ საქართველოს ნამდვილი მეგობარი და ერთგული მხარდამჭერია. მსგავსი ბრალდებები, პირველ რიგში, საქართველოს ინტერესებს აზიანებს, რაც განსაკუთრებით სახიფათოა რეგიონში არსებული უსაფრთხოების გამოწვევების ფონზე.

ასევე, საყურადღებოა „ოთხეულის“ განცხადებებში ხელისუფლების წარმომადგენლების კვალდაკვალ, არასამთავრობო ორგანიზაციების მორიგი დისკრედიტაციის მცდელობაც. სწორედ ამ მიზანს ემსახურება აშშ-ს მიერ საქართველოს დასახმარებლად გამოყოფილი თანხების ეჭვის ქვეშ დაყენება და არასამთავრობოების ამერიკულ აგენტურად მოხსენიება. აღნიშნული ნარატივი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შეფასების დროს, ხშირად გამოიყენება ავტორიტარული რეჟიმების პირობებში და პარლამენტის წევრების მხრიდან მსგავსი რიტორიკა მართლაც დასაგმობია.

მოვუწოდებთ ხელისუფლებას, მკაფიოდ გაემიჯნოს აღნიშნული განცხადების დეზინფორმაციულ მესიჯებს, რადგან ის მხოლოდ ჩვენი ქვეყნისა და მისი დემოკრატიული განვითარებისადმი მტრულად განწყობილი რუსეთის მიზნებს ემსახურება და ცალსახად აზიანებს საქართველოს ინტერესებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

აქვე, გვინდა განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატოთ აშშ-ს მთავრობის, საქართველოში აშშ-ს საელჩოსა და ამერიკელი ხალხის მიმართ, დაუღალავი და მტკიცე მხარდაჭერისა და მეგობრობისათვის.